საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/01

ქ. ბათუმი **31 იანვარი, 2023 წ.**

ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის 2023 წელს განსახორციელებელი ღონისძიების თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის და **ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2024წ.),** ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 11 ოქტომბრის №01-02/171 ბრძანების,** „ბსუ-ს **2023 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების თაობაზე" წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 23 დეკემბრის N07-01/57 გადაწყვეტილების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების (N28839, 16.01.2023 წ.) , ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 31 იანვრის სხდომის N07-02/01 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე ბსუ-ს წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით (2018-2024) გათვალისწინებული ამოცანის - ინტერნაციონალიზაციის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, **ბსუ-ს პერსონალისათვის** (მათ შორის შრომითი ხელშეკრულებით მოწვეულ და ბსუ-ში არანაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილების მქონე პირებს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უცხო ენების მოკლევადიან პროგრამებზე სწავლისათვის **ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ განისაზღვროს შეღავათიანი სწავლის საფასური.**

2. წინამდებარე გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შეღავათით ბსუ-ს პერსონალმა (მათ შორის მოწვეულმა) ისარგებლოს 2023 წლის განმავლობაში და ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსების ფარგლებში.
3. საჭიროების შემთხვევაში ბსუ-ს რექტორთან შეთანხმებით გამოცემული იქნეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება, შეღავათიანი სწავლის საფასურის გადამხდელი პირებისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით (ჯგუფში მსმენელთან რაოდენობა, სწავლის დაწყების და დასრულების, უცხო ენის მომდევნო, უფრო მაღალი დონის პროგრამაზე სწავლის გაგრძელების თაობაზე და სხვა).
4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბსუ-ს რექტორმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა უზრუნველყონ პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უცხო ენების მიმართულების მიერ წინამდებარე გადაწყვეტილების აღსრულებისათვის შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემა.
6. გადაწყვეტილება დაეგზავნოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს, სტრუქტურულ ერთეულებს და მართვის ორგანოებს.
7. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**